ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №50

ასპინძა სოფ. ნაქალაქევი 18 ივნისი 2012 წელი

ერთის მხრივ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ ნაქალაქევის საჯარო სკოლა (შემდგომში ,,შემსყიდველი))წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნ. მელიქიძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ჯილდა" (შემდგომში ,, მიმწოდებელი")წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გვარჯალაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონის და შ.პ.ს. ,,ჯილდას" –ის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA120015443) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომ –,, ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრედენდენტს შორის დადებული ხელშკრულება , რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ , მასზეთანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით , რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,შემსყიდველ ორგანიზაცია" (შემდგომში ,,შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას) ,რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

1.3,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხერლშეკრულების ფარგლებში.

1.4 ,,ხელშკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5 ,,დღე", ,,კვირა" , ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები და ხარისხი

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

შემსყიდველი: ნ. [signature] მიმწოდებელი: [signature]

აა

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შემსყიდველის მოთხოვნებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილს და წუნდების მიზეზების მითითებით.

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4 მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შსრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში.

3.5 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეარჩიოს სამშენებლო სამუშაოს წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

3.6 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტში აღნიშნული პირები.

3.7 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. შესყიდვის ობიექტი, კლასიფიკატორის კოდი, ტექნიკური პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტი - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია. შესყიდვის ღირებულებაა10989,00(ათი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა) ლარი.

4.2 კლასიფიკატორის კოდი - CPV45400000

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1 სამუშაოს დასრულების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 38 (ოცდათვრამეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 მიწოდების ადგილი - ასპინძა, სოფელი ნაქალაქევი.

6.დაზღვევა

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბკონტრაქტორის პერსონალი და სხა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შეყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2 სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ, თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს და ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის მიერ შექმნილი სპეციალური ინსპექტირების ზედამხედველობის კომისია. ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის სამუშაოების დამთავრების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე: მიღება-ჩაბარების კომისია.

7.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

8. ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში .

8.2 ანგარიშსწორება მოხდება 2012 წლის ბიუჯეტით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობში.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად,რისთვისაც მიმწოდებელმა უნად წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8.5 შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას საბოლოო მიღება-ჩაბარებამდე ერთი თვის საგარანტიო ვადით დაიკავოს მთლიანი ღირებულების 10%.

9. ფასები

9.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულბით პარამეტრებს.

9.2 ხელშკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

9.3 ხელშკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.4 ხელშკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის , გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში , დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% -ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა , ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება , რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება , დაუშვებელია გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 3 ხელშკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებლმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და რარც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11.2 მიმწოდებლი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე ,აგრეთვე მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 ხელშკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებლმა წერილობით უნდა უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შმსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუშველზე , რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს .

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. გარანტია

13.1 მიმწოდებლი ვალდებულია შტყობინების მიღბისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

13.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შმთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

13.3 შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება მინიმუმ 3(სამი) წლიანი გარანტია, მიმწოდებლის მხრიდან ბრალეულობის შმთხვევაში.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს , რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შტყობინება შეფერხების ფაქტის , მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შტყობინების მიმღბმა მხარემ რაც შეიძლებამოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღბული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში , თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაძ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. მხარეთა უფლება-მოვალეობები

15.1 შემსყიდველი და მიმწოდებლი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით .

15.2 შემსყიდველი ვალდებულია:

15.2.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

შემსყიდველი: 6. [signature]

მიმწოდებელი: [signature]

15.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებლი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შსახებ;

15.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შსაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებლს შეასრულებული სამუშაოს ღირებულება.

15.2.4 წერილობითი ფორმით დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებლს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შსახებ.

15.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

15.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

15.3.2 განახორციელოს შეასრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალიწინებული ხარისხის კრიტერიუმების ტექნიკური სფეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

15.3.3 ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღბა-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

15.3.4 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ;

15.4 მიმწოდებელი ვალდებულია :

15.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ;

15.4.2 სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

15.4.3 სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გარეშე;

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

15.4.4 სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მომწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მომწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე . ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მომწოდებელს ;

15.4.5 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

15.4.6 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად .

15.4.7 ნებისმიერ დროს წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე ;

15.4.8 სამუშაოების დასრულების შემდეგ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში , თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მათი მიზეზით მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებულუი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

15.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

15.5.1მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება
პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;
15.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

შემსყიდველი: 6. [signature]

მიმწოდებელი: [signature]

16. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო
16.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება,ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისშეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს;
დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ვ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
16.2შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
ა)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებითგათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
16.3ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.4 მე-16 მუხლის 16.1 და 16.2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოსღირებულება.

17. ფორს-მაჟორი

17.1ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას დახელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულებისშესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორულიგარემოების შედეგი.
17.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ დამათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
17.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
17.4თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
18.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. გამოყენებული სამართალი

19.1ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. ხელშეკრულების ენა

20. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

21. შეტყობინება

21.1ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად,უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით,ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარისმისამართზე.

21.2შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებისძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფროგვიან დგება.

22. გადასახადები და დაბეგვრა

22.1უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული

ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

22.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან დაძალაშია 14.08.2012-ამდე.

24. სხვა პირობები

24.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოსკანონმდებლობით.

24.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

24.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

24.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

24.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი: სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის ნაქალაქევის საჯარო სკოლა
ასპინძის რაიონი სოფ ნაქალაქევი
ს/კ 223104307
ა/ ნომერი GE48LB0121135236537000
ბანკის კოდი: სს ლიბერთი ბანკის ასპინძის ფილიალი 220101451
სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაქალაქევის საჯარო სკოლის დირექტორის მვალეობის შემსრულებელი:

ნ. მელიქიძე

მიმწოდებელი: შ პ.ს „ჯილდა"
მისამართი: ქ. ახალციხე 9 აპრილის ქ. № 6/26
ს/კ 424065184
ა/ნომერი GE52TPOO36080020000026
ბანკი: პრივატ ბანკის ახალციხის სერვის ცენტრი
ბანკის კოდი: GAVOGE22

შ პ.ს „ჯილდა"–ის დირექტორი

დ.გვარჯილაძე